



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011732226349521

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 100789

10 / მარტი / 2021 წ.

**გადაწყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

**ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:** 103605/17; **თარიღი:** 05.03.2021 წ.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:** ლიანა შეყელაძის (პირადი ნომერი 01030040323) წარმომადგენელი ალექსი გაბუნია (პირადი ნომერი 01011018518).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემა სტრუქტურული ერთეული/ტერიტორიული სამსახური:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882021115097-03 (24.02.2021 წ.) გადაწყვეტილება.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის № 882021115097-03 (24.02.2021 წ.) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

**უძრავი ნივთის მისამართი:** თბილისი, გ. დოლიძის ქუჩა №21.

№ 103605/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. ამ მუხლის პირველ

ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

დგინდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით მოთხოვნილია იპოთეკარის სოფიკო მახარაძის თანხმობა იპოთეკის შეწყვეტის თაობაზე, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად უნდა ჩაერთოს სოფიკო მახარაძე.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ლიანა შეყელაძის (პირადი ნომერი 01030040323) წარმომადგენლის ალექსი გაბუნიას (პირადი ნომერი 01011018518) №103605/17 (05.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნეს: სოფიკო მახარაძე (პირადი ნომერი 01030050940).
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოთ სოფიკო მახარაძეს (პირადი ნომერი 01030050940) და ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.
4. დაინტერესებულ პირებს განემარტოთ, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).
7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე